ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2026 წელი

საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის და გადაცემის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა გამოფენა-გაყიდვებისათვის საზოგადოებრივი სივრცე(ები) პირდაპირი განკარგვის წესით გასცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირებისა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

2. დადგინდეს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასური, დანართის თანახმად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

„საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის და გადაცემის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად აღნიშნული საკითხის შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ტრადიციული-ინოვაციური ქართული პროდუქციის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის მოწყობისა და ფესტივალების ფარგლებში ჩასატარებელი სხვადასხვა ღონისძიებების ქალაქ ბათუმის სხავადასხვა ლოკაციებზე გამართვის მოთხოვნების მიზნით განცხადებების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. აქედან გამომდინარე მიზანშეწოლად იქნა მიჩნეული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შერჩეულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად წარიმართოს ქალაქ ბათუმის სხავადასხვა ტერიტორიებზე გამოფენა-გაყიდვები და ფესტივალები. ამასთან, ვინაიდან ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორია უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ბოტანიკურ ბაღს, იგი ამოღებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გამოფენა-გაყიდვებისა და ფესტივალების ჩატარებაზე თანხმობის გაცემის სიიდან.

არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით სამხარეულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებული იქნა რამდენიმე ლოკაცია, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს გამოფენა-გაყიდვებისა და ფესტივალებისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის საფასური(დანართი თან ერთვის).

ა.ა) პროექტის მიზეზი და მიზანი:

აღნიშნული განკარგულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში (ტროტუარი და სხვა) გამოფენა-გაყიდვებისა და ფესტივალების გამართვაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის წესის დარეგულირებას და მოწესრიგებას, მეწარმეობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

ა.ბ.) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის დარეგულირება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

ბ) პროექტის ფინანსური მხარე:

არსებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების ზრდას.

გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების მართვის
სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის საფასური

ღონისძიების დასახელება	საზოგადოებრივი სივრცის მდებარეობა	ღონისძიებისათვის განსაზღვრული ტერიტორიის ფართი (კვ.მ.)	დღიური საფასური (ლარი)
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, ერა-ს მოედანზე მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, გმირთა ხეივანში (ჯიული შარტავას გამზირი) მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების კვეთაში მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, საბაგირო დან შოთა რუსთაველის ქუჩამდე (წრიულამდე) მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, ქუთაისის, ნოე ჟორდანიას, გენერალ მაზნიაშვილის და ახმედ მელაშვილის ქუჩებს შორის მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე შოთა რუსთაველის ქუჩიდან მემედ აბაშიძის ქუჩამდე მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე დემეტრე თავდადებულის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე მდებარე	1-100	1026.00
გამოფენა-გაყიდვა	ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის და მემედ აბაშიძის ქუჩაზე დემეტრე თავდადებულის ქუჩიდან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩამდე მდებარე	1-100	1026.00